



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 7 23 0000039933



17/01/2023

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 30 სექტემბრის №35/6241 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1200131, 30/09/2022; №1225853, 04/10/2022), დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის № 1363391 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მამიებლად. ცენტრის 2022 წლის 31 ოქტომბრისა და 04 ნოემბრის № 1382603 და № 1407440 ბრძანებების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2022 წლის 7, 8 და 9 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	●			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	●			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 27 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 17 იანვრის სხდომის №39745 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

4.1. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და „თავისუფალი მეცნიერებების“ გუნდს შორის, რათა მოხდეს მათი უკეთესად ინტეგრირება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან.

4.2. დაწესებულებამ სრულად დანერგოს ხარისხის არსებული მექანიზმები პროგრამის შესაფასებლად და უზრუნველყოს პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

რჩევები:

1. დაწესებულებამ წარმოადგინოს ვებგვერდის სრული ვერსია, რომელიც ამჟამად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა არ არის სრული საერთაშორისო ენაზე, რაც გააძლიერებდა მის ხილვადობას. სასარგებლო იქნება არსებული ზომების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღწევადობას ადგილობრივ გარემოს მიღმა არსებულ სამიზნე აუდიტორიამდე;
2. გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით;
3. გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება;
4. გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას;
5. დაწესებულების მიერ შეიძლება განიხილებოდეს თვითშეფასების გუნდში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლთა ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს მათი უკუკავშირი სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართულობა პროგრამების სამუშაო ჯგუფებში შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამებისთვის;
6. რჩევია სამეცნიერო ნაშრომები „თავისუფალი მეცნიერებების“ კურსების სილაბუსებში მიეთითოს არა როგორც სავალდებულო, არამედ როგორც დამატებითი სასწავლო მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა შესაბამის კვლევით სფეროებში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე (მაგ. იხილეთ სილაბუსები - დიადი წიგნები II, დიადი წიგნები III, ბერძნული დრამა ანტიკურობისა და თანამედროვეობის კონტექსტში და სხვ.).

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 31 დეკემბერს.


6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N69 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31/12/2022
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე	-

	ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2029